

**პროგრამის სწავლის შედეგების პირდაპირი შეფასება -
სამიზნე ნიშნულები
გზამკვლევი**

შესავალი

საგანმანათლებლო პროგრამების ეფექტური შეფასების პროცესს აქვს ხუთი ძირითადი ასპექტი და რამდენიმე მახასიათებელი¹:

საგანმანათლებლო პროგრამის “კარგი” შეფასება:


გამოიყენება ინფორმირებული გადაწყვეტილებების მისაღებად, განსაკუთრებით პროგრამის გაუმჯობესებისა და სწავლების ეფექტურობის გაზრდის მიზნით, ასევე ეფექტური დაგეგმვის, ბიუჯეტირებისა და ანგარიშვალდებულების უზრუნველსაყოფად	• დაგეგმილი და მიზნობრივია - პროცესი იწყება შეფასების მიზნის მკაფიო გააზრებით; • ფოკუსირებულია მკაფიო და მნიშვნელოვან მიზნებზე; • ხორციელდება დაინტერესებული მხარეების აქტიური მონაწილეობით; • მოიაზრებს თანმიმდევრული და მკაფიო ინფორმაციის მიწოდებას ფართო წრისთვის; • არის სამართლიანი, ეთიკური და პასუხისმგებლიანი.
არის გამართლებული, ქმნის ღირებულებას, რომელიც ამართლებს შეფასების განხორციელებისთვის დახარჯულ დროს და რესურსებს	• ფოკუსირებულია მკაფიო და მნიშვნელოვან მიზნებზე; • ეფუძნება არსებულ შესაძლებლობებს; • არის მარტივი; • გააჩნია რეალისტური მოლოდინები.
იძლევა საკმარისად ზუსტ შედეგებს, რომელიც შეესაბამება რეალობას, მათი ხარისხი და სანდოობა კი იძლევა მათი გამოყენების შესაძლებლობას გადაწყვეტილებების მიღებისას კურიკულუმთან და სწავლებასთან დაკავშირებით	• გამომდინარეობს შეფასების მკაფიო და მნიშვნელოვანი მიზნებიდან; • დაბალანსებულია და ზომავს სხვადასხვა ტიპის და სირთულის, მათ შორის კომპლექსურ ანალიტიკურ უნარებს; • იყენებს მრავალფეროვან მიდგომებს, მათ შორის სტუდენტების მიღწევების პირდაპირ მტკიცებულებებს; • აღიარებს სწავლების, სწავლისა და შეფასების მრავალფეროვან მიდგომებს; • აფასებს როგორც სწავლა-სწავლების პროცესებს, ასევე სწავლის შედეგებს; • შემუშავებულია გააზრებულად; • თავად საჭიროებს მუდმივ განვითარებას.
არის ღირებული	• იძლევა ისეთ შედეგებს, რომელიც გამოიყენება ინფორმირებული გადაწყვეტილებების მისაღებად მნიშვნელოვან ამოცანებთან და მიზნებთან მიმართებაში;

¹ წყარო: Clark College. “What is “Good” Assessment? A Variety of Perspectives”. https://www.clark.edu/tlc/outcome_assessment/documents/suskie1.pdf (ინტერნეტიდან ამოღებულია 29.06.2023)

	• მოიაზრებს ძალისხმევის აღიარებას და დაფასებას წახალისების სხვადასხვა მიდგომების გამოყენებით; • წარმოადგენს ინსტიტუციური კლიმატის ნაწილს, რომელშიც წახალისებულია ინოვაციურობა, გამბედაობა, სწავლებისა და სწავლის განვითარებაზე მიმართული ძალისხმევა; • უზრუნველყოფილია სათანადო, მათ შორის დროითი, რესურსით, მხარდაჭერით, პროცესის კომპეტენტური მართვით, უკუკავშირით.
ფოკუსირებულია და გამომდინარეობს მკაფიო და მნიშვნელოვანი მიზნებიდან	• გააჩნია მკაფიო და რელევანტური სტანდარტები სტუდენტის მისაღები და სანიმუშო მიღწევების დასადგენად.

☼ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება ციკლური და თანმიმდევრული პროცესია, რომლის მნიშვნელოვან ასპექტს წარმოადგენს სამიზნე ნიშნულების განსაზღვრა და მათი გამოყენება (იხ. გრაფიკი #1 ქვემოთ). პროცესის ციკლური ხასიათი გულისხმობს, რომ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება მუდმივი პროცესია - ის ყოველთვის მიმდინარეა. თუმცა, ამ გზამკვლევის მიზნებისთვის, ვიტყვით, რომ შეფასების ციკლი იწყება მიზნის განსაზღვრით².


გრაფიკი #1: პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესის ციკლი



ამ გზამკვლევაში აღწერილია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესის ყველა ძირითადი ეტაპი, რომელიც ეყრდნობა სამიზნე ნიშნულებს და პირდაპირი შეფასების ინსტრუმენტებს (მეთოდებს). მასში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ამ ნიშნულების სწორად განსაზღვრასა და გამოყენებას.

² წყარო: Tulane University. „Assessment Cycle.“ <https://oir.tulane.edu/assessment/academic-assessment-cycle> (ინტერნეტიდან ამოღებულია 29.06.2023)

პროგრამის მიზანი და სწავლის შედეგები³



პროგრამის სწავლის შედეგების პირდაპირი შეფასების პროცესში აუცილებელია, პროგრამას ჰქონდეს სწორად და მკაფიოდ ჩამოყალიბებული მიზნები და ამ მიზნების შესაბამისი სწავლის შედეგები.

პროგრამის მიზანი უნდა ასახავდეს, რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების განვითარებას ემსახურება ის, როგორ არის ის ორიენტირებული დასაქმების ბაზარზე. ის ასევე უნდა ასახავდეს პროგრამის თანხვედრას უნივერსიტეტის მისიასთან. მიზანი უნდა იყოს რეალისტური, მიღწევადი, ნათლად და მკაფიოდ ფორმულირებული, შეესაბამებოდეს უმაღლესი განათლების რელევანტურ საფეხურს.

პროგრამის მიზნებიდან გამომდინარე, უნდა განისაზღვროს **პროგრამის სწავლის შედეგები**. პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

როგორ დავწეროთ სწორად პროგრამის სწავლის შედეგები?

პროგრამის სწავლის შედეგებზე მუშაობის დაწყებამდე, სასურველია, გავიხსენოთ, რომ პროგრამის სწავლის შედეგები უნდა იყოს SMART⁴:

-  **Specific** - კონკრეტულად რა ცოდნა უნდა შეიძინოს და რა უნარები უნდა განუვითარდეს სტუდენტს პროგრამაზე სწავლისას?
-  **Measurable** - როგორ ვზომავთ სწავლის შედეგს? რა მეთოდებს და მონაცემებს ვიყენებთ მისი შეფასებისთვის?
-  **Attainable** - რამდენად მიღწევადია/რეალისტურია სწავლის შედეგი კონკრეტული პროგრამის ფარგლებში?
-  **Relevant** - რამდენად შეესაბამება სწავლის შედეგი პროგრამის მისიას/მიზნებს?
-  **Time-based** - დროის რა პერიოდია საჭირო სწავლის შედეგის მისაღწევად?

³ პროგრამის მიზანთან და სწავლის შედეგებთან დაკავშირებული მოთხოვნები, გთხოვთ, იხ. დოკუმენტში [“ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროგრამის შეფასების კრიტერიუმები”](#)

⁴ წყარო Stony Brook University. „Articulating Goals and Objectives.“
<https://www.stonybrook.edu/commcms/oeo/process/goals> (ინტერნეტიდან ამოღებულია 29.06.2023)

პროგრამის SMART სწავლის შედეგების ჩამოყალიბებისთვის რამდენიმე ნაბიჯი უნდა გადავდგათ⁵.



პირველი ნაბიჯი: პროგრამის ხელმძღვანელი და სამუშაო ჯგუფი განსაზღვრავს, რა ძირითადი კომპეტენციები უნდა ჰქონდეთ განვითარებული პროგრამის კურსდამთავრებულებს.

მეორე ნაბიჯი: მას შემდეგ, რაც პროგრამის სამუშაო ჯგუფი შეთანხმდება იმ ძირითად კომპეტენციებზე, რაც სტუდენტს უნდა ჰქონდეს პროგრამის დასრულების შემდეგ, საჭიროა სწავლის შედეგები გავხადოთ კონკრეტული და გაზომვადი. **კონკრეტული სწავლის შედეგი** შესაძლებელს ხდის, შეფასდეს სწავლის მხოლოდ ერთი კონკრეტული ასპექტი. მაგალითად, სტუდენტის “ეფექტური კომუნიკაციის უნარი” შეიძლება განვიხილოთ, როგორც კონკრეტული სწავლის შედეგი, რადგან ის შეიძლება შეფასდეს მისთვის შემუშავებული კრიტერიუმებისა და რუბრიკების ერთი ინსტრუმენტის საფუძველზე. მისგან განსხვავებით, “ეფექტური კომუნიკაციის და უკუკავშირის მიცემის უნარი” მოიაზრებს სწავლის ორ სხვადასხვა ასპექტს, რომელიც ვერ შეფასდება კრიტერიუმების და რუბრიკების ერთი რომელიმე ინსტრუმენტის გამოყენებით. შესაბამისად, ბუნდოვანი ხდება, რა ინსტრუმენტი უნდა იყოს გამოყენებული მისი შეფასებისთვის ან თუ ასეთი ინსტრუმენტი შევიმუშავებთ, რომელი კომპეტენციის შეფასება მოხდება მის საფუძველზე. **გაზომვადი სწავლის შედეგი** ფოკუსირებულია ისეთ კომპეტენციაზე, რომლის შეფასებაც შესაძლებელია. მაგალითად, ჩვენ შეგვიძლია შევაფასოთ სტუდენტის უნარი, აღწეროს ფაქტი/მოვლენა და ა.შ. მაგრამ ვერ შევაფასებთ მის აღქმას ამ უნარის შესახებ, რასაც ექნება ადგილი იმ შემთხვევაში, თუ სწავლის შედეგში მითითებული იქნება, რომ სტუდენტი იცნობს ფაქტს/მოვლენას და ა.შ.

მესამე ნაბიჯი: პროგრამის სწავლის შედეგის ჩამოყალიბებისას სასურველია, გამოვიყენოთ ისეთი ზმნები, რომლებითაც შეიძლება გაზომვადი და დაკვირვებადი ქმედებების აღწერა და ამასთან კომპეტენციების სირთულის სხვადასხვა დონის გამიჯვნა. ამ მიზნით შესაძლებელია ბლუმის ტაქსონომიის გამოყენება (სხვა ტაქსონომიების⁶ გამოყენების მიზნით, გთხოვთ, იხ. ბმული ქვემოთ⁷).


⁵ წყარო Tulane University. „Academic Assessment Cycle - Goal Setting - Student Learning Outcomes - How To.“ <https://oair.tulane.edu/assessment/academic-student-learning-outcomes-how> (ინტერნეტიდან ამოღებულია 29.06.2023)

⁶ წყარო Vanderbilt University. „Bloom’s Taxonomy.“ <https://cft.vanderbilt.edu/guides-sub-pages/blooms-taxonomy/> (ინტერნეტიდან ამოღებულია 29.06.2023)

⁷ წყარო Buffalo University. „Learning Outcomes.“ <https://www.buffalo.edu/catt/develop/design/learning-outcomes.html> (ინტერნეტიდან ამოღებულია 30.06.2023)

ბლუმის ტაქსონომიის მიხედვით კოგნიტური უნარები გაყოფილია 6 დონედ. ესენია: ცოდნა, გაგება, გამოყენება, ანალიზი, შეფასება და შექმნა. ეს დონეები საფეხურებად არის განლაგებული, სადაც ყოველი მომდევნო დონე უფრო რთულ კომპეტენციებს მოიცავს, რომელთა დაშენება ხდება წინა დონეების კომპეტენციების საფუძველზე (იხ. გრაფიკი #2). აქვე აღსანიშნავია, რომ გარდა კოგნიტური განზომილებისა, ტაქსონომია მოიცავს დამოკიდებულებით და ფსიქომოტორულ განზომილებებს⁸. პროგრამის სწავლის შედეგის ჩამოყალიბებისას ბლუმის ტაქსონომიის გამოყენების დროს გათვალისწინებული უნდა იყოს უმაღლესი განათლების შესაბამისი საფეხური.

გრაფიკი #2: ბლუმის ტაქსონომია (კოგნიტური განზომილება)



ბლუმის ტაქსონომიის გამოყენებით სწავლის შედეგების ჩამოყალიბებასა და ამ შედეგების შესაფასებლად მეთოდების შერჩევაში დაგეხმარებათ ქვემოთ მოცემული ცხრილი #2.

⁸ წყარო Stony Brook University. „Developing Student Learning Outcomes.“
<https://tulane.app.box.com/s/g8c3hpn9ri5ca5h6228l9i0nr7a977h8> (ინტერნეტიდან ამოღებულია 29.06.2023)

ცხრილი #2: კოგნიტური დონის აღწერა, რელევანტური შეფასებების მეთოდები და აღმწერი ზმნები⁹

კოგნიტური დონე	აღწერა	შეფასების ინსტრუმენტი	ზმნები
დამახსოვრება	ძირითადი ფაქტების და კონცეფციების ცოდნა	ტესტი, პრეზენტაცია, ილუსტრაციები, ვიზუალიზაციები, ანალოგიები, მაგალითები და სხვა	განსაზღვრა, აღწერა, ჩამოთვლა, მოძიება, იდენტიფიცირება, გამოვრება, გახსენება, დაკავშირება, ხაზგასმა, ამორჩევა, დასახელება, ჩვენება, გამოსახვა, თქმა, მონიშვნა, პოვნა, იდენტიფიცირება, ცნობა, დასახელება და სხვა
გააზრება	იდეებისა და კონცეფციების ახსნა	დიაგრამა, წერილობითი ანგარიში, მოდელი, ტესტი, დისკუსია, პრეზენტაცია, შეჯამება, შედარება, ზეპირი ანგარიში და სხვა	დაკავშირება, კლასიფიცირება, შედარება, აღწერა, ამორჩევა, შეჯამება, განხილვა, შეპირისპირება, ახსნა, ილუსტრირება, თარგმნა, ინტერპრეტირება, მიმოხილვა, გამოკვეთა, დაკავშირება, პერიფრაზირება, განმარტება, შეცვლა, მითითება და სხვა
გამოყენება	ინფორმაციის/შემენილი კომპენტენციის გამოყენება ახალ სიტუაციაში/კონტექსტში	დიაგრამა, ილუსტრაცია, პროექტი, სკეჩი, სიმულაცია, ნახატი, კითხვა-პასუხი, დემონსტრირება და სხვა	გამოყენება, მორგება/ადაპტირება, გამოთვლა, დაკავშირება, გამოთვლა, კლასიფიცირება, ინტერპრეტირება, გენერალიზება, ექსპერიმენტირება, მომზადება, დაკავშირება, დაგეგმვა, გადაჭრა, თარგმნა, ილუსტრირება, ახსნა და სხვა
ანალიზი	იდეებს შორის კავშირების დადგენა/დანახვა	გამოკითხვა, დისკუსია, კითხვარი, შემთხვევის ანალიზი, რუკა, კითხვა-პასუხი და სხვა	ანალიზი, კატეგორიზება, კლასიფიცირება, შედარება, კრიტიკა, დებატები, აღმოჩენა, შეფასება, ექსპერიმენტირება, დაჯგუფება, გამოძიება, გადაჭრა და სხვა
შეფასება	პოზიციის/გადაწყვეტილები ს არგუმენტირებული დასაბუთება	შეფასება, შემთხვევის ანალიზი, კრიტიკა, სასამართლო პროცესი,	ინტერპრეტაცია, შეფასება, განსჯა, დარწმუნება, დასაბუთება, გაზომვა, პროგნოზირება, დაცვა,

⁹ წყარო: Quinnipiac University. „Bloom’s Taxonomy – Overview.“ https://quonline.quinnipiac.edu/id/guides/planning/learningobjective_bloom_verbwheel.pdf (ინტერნეტიდან ამოღებულია 30.06.2023)

		პროექტი, თვითშეფასება, სიმულაცია, კითხვარი	შერჩევა, პრიორიტეტის განსაზღვრა, რეკომენდირება, მხარდაჭერა, შეფასება, რანჟირება და სხვა
შექმნა	ახალი ან ორიგინალური ნაშრომის/პროდუქტის/მოსაზრების შექმნა	სტატიები, სამოქმედო გეგმები, შემთხვევის ანალიზი, ექსპერიმენტი, პროექტი	შექმნა, შედგენა, ინტეგრირება, გამოგონება, მომზადება, ახსნა, ფორმულირება, მოდიფიცირება, ორგანიზება, დაგეგმვა და სხვა

მეოთხე ნაბიჯი: მას შემდეგ, რაც პროგრამის სამუშაო ჯგუფი შეთანხმდება, თუ რა უნარებით იქნება აღჭურვილი კურსდამთავრებული, რა სირთულის უნდა იყოს ეს უნარები კოგნიტური დონის გათვალისწინებით და მათ აღწერს, როგორც კონკრეტულ და გაზომვად კომპეტენციებს, უნდა მოხდეს მათი ჩამოყალიბება სწავლის შედეგის სახით, თანმიმდევრულ, მარტივ წინადადებად.

მეხუთე ნაბიჯი: პროგრამაში უნდა განისაზღვროს საშუალოდ 5-7 სწავლის შედეგი, რომლებიც ერთობლიობაში აღწერენ პროგრამაზე სწავლის ყველა ძირითად ასპექტს. (პროგრამას შეიძლება ჰქონდეს 7-ზე მეტი სწავლის შედეგი დარგის სპეციფიკის, დარგობრივი მახასიათებლისა თუ სხვა სტანდარტების გათვალისწინებით).

- ☞ რამდენიმე მინიშნება პროგრამის სწავლის შედეგის სწორად ჩამოყალიბებისთვის¹⁰:
- შეეცადეთ, ერთ სწავლის შედეგში აღწეროთ სწავლის ერთ ასპექტთან დაკავშირებული კომპეტენციები;
 - შეეცადეთ, სწავლის შედეგების აღწერისას ჩამოაყალიბოთ მარტივი წინადადებები;
 - შეეცადეთ, სწავლის შედეგი გახადოთ სტუდენტზე ორიენტირებული;
 - შეეცადეთ, სწავლის შედეგებში აღწეროთ/ასახოთ ისეთი კომპეტენციები, რომელსაც სტუდენტი შეიძენს მთლიანი პროგრამის დასრულების შემდეგ და არ ჩამოთვალეთ ის უნარები, რომელიც მას განუვითარდება ინდივიდუალურ კურსებში.

მაგალითი 1: პროგრამის სწავლის შედეგების ჩამოყალიბება¹¹

არცთუ ისე კარგად ჩამოყალიბებული სწავლის შედეგი:

“პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტები შეძლებენ მოიფიქრონ კვლევა, რომელშიც გამოყენებულია რამოდენიმე მეთოდი, დაწერონ და წარუდგინონ კვლევის ანგარიში ფართო საზოგადოებას”.

“პროგრამა მისცემს სტუდენტს შესაძლებლობას, ისწავლოს ბიოლოგიის სფეროში აქტუალური პრობლემების შესახებ.”

“სტუდენტი შეძლებს გამოიყენოს სოციალური ფსიქოლოგიის დარგში არსებული რამოდენიმე თეორიიდან ერთ-ერთი და ამ თეორიებს გამოიყენებს რეალურ კონტექსტში არსებული რამოდენიმე პრობლემის გადაჭრის გზების განსაზღვრისთვის.”

¹⁰ წყარო: Texas Tech University. „Assessing Student Learning in Degree Programs.“ <https://www.depts.ttu.edu/opa/nuventive/ProgramAssessmentHandbook2018.pdf?fbclid=IwAR0VRWELP3CbZOilb6P6nWh01Xu3gKKxC7iVGwtaOkrWRRtGfrrIBDJZrHU> (ინტერნეტიდან ამოღებულია 03.07.2023).

¹¹ მაგალითები ამოღებული და ადაპტირებულია სხვადასხვა საერთაშორისო უნივერსიტეტის პრაქტიკიდან.

კარგად ჩამოყალიბებული სწავლის შედეგები:


„პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტები შეძლებენ კვლევის დაგეგმვას და განხორციელებას სფეროს/დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით.“

„პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტი შეძლებს შეაფასოს აქტუალურ პრობლემებთან დაკავშირებული გამოწვევები ბიოლოგიის სფეროში და მათი გადაწყვეტისთვის გამოყენებული სამეცნიერო მტკიცებულებების ვალიდურობა.“

„სტუდენტი შეძლებს გამოიყენოს სოციალური ფსიქოლოგიის დარგში არსებული თეორიები რეალურ კონტექსტში არსებული პრობლემების გადაჭრის გზების განსაზღვრისთვის“.

უფრო ზუსტად ჩამოყალიბებული პროგრამის სწავლის შედეგები გაადვილებს შეფასების რელევანტური მეთოდების შერჩევას.

პროგრამის სწავლის შედეგების რუკა¹²¹³



პროგრამების მუდმივი გაუმჯობესებისა და შეფასებისთვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება პროგრამის სწავლის შედეგების (კომპეტენციების) რუკის შედგენას. ასეთი რუკა იქმნება იმისათვის, რომ დავრწმუნდეთ, რომ პროგრამის სტრუქტურა, მასში შეთავაზებული სასწავლო თუ კვლევითი კომპონენტების ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. რუკა საშუალებას იძლევა,

პროგრამის განმახორციელებლებმა ნათლად დაინახონ, პროგრამის რომელ კომპონენტში ხდება პროგრამის ამა თუ იმ სწავლის შედეგის შესაბამისი კომპეტენციის განვითარება.

ხელსაყრელია რუკის შედგენა მატრიცის სახით (Excel ან Microsoft Word დოკუმენტში), სადაც ჩამოთვლილი იქნება პროგრამის ყველა სწავლის შედეგი და მითითებული ყველა ის კურსი, რომელშიც გათვალისწინებულია რელევანტური კომპეტენციების განვითარება. ამ შემთხვევაში მასში უკეთ იქნება ვიზუალიზირებული პროგრამის სწავლის შედეგებსა და პროგრამის კომპონენტებს შორის კავშირები (მაგალითი იხ. ქვემოთ, ცხრილი #3).

ცხრილი #3: პროგრამის სწავლის შედეგების რუკა (ზოგადი)

	კურსი 1	კურსი 2	კურსი 3	კურსი 4
პროგრამის სწავლის შედეგი 1	x			
პროგრამის სწავლის შედეგი 2		x		
პროგრამის სწავლის შედეგი 3			x	
პროგრამის სწავლის შედეგი 4	x	x		x

¹² წყარო: Tulane University. „Academic Assessment Cycle - Curriculum Mapping.“

<https://oair.tulane.edu/assessment/academic-curriculum-mapping> (ინტერნეტიდან ამოღებულია 03.07.2023)

¹³ წყარო: Texas Tech University. „Assessing Student Learning in Degree Programs.“ <https://www.depts.ttu.edu/opa/nuventive/ProgramAssessmentHandbook2018.pdf?fbclid=IwAR0VRWELP3CbZ0ilb6P6nWh01Xu3gKKxC7iVGwtaOkrWRRtGfrrIBDJZrHU> (ინტერნეტიდან ამოღებულია 03.07.2023).

პროგრამის სწავლის შედეგების რუკის შედგენისას, მნიშვნელოვანია არა მხოლოდ იმის განსაზღვრა, პროგრამის რომელი კურსი ემსახურება შესაბამისი კომპეტენციის განვითარებას, არამედ აღნიშნული კურსის სწავლის შედეგში/შედეგებში არის თუ არა აღწერილი რელევანტური კომპეტენციები (კურსის სწავლის შედეგები ასევე უნდა იყოს ჩამოყალიბებული ზემოთ აღწერილი SMART პრინციპის გათვალისწინებით). შესაბამისად, ყურადღება უნდა მივაქციოთ, რომ პროგრამის სწავლის შედეგები, რომლებიც მეტად კუმულირებული სახით არის ჩამოყალიბებული, ვიწროვდებოდეს და ზუსტდებოდეს რელევანტური კურსის სწავლის შედეგებში¹⁴.

აქვე აღსანიშნავია, რომ პროგრამის სწავლის შედეგების რუკის შედგენისას, სასარგებლო იქნება განსაზღვროთ, რა კომპლექსურობის უნარების განვითარებასაა გათვალისწინებული კურსის სწავლის შედეგებში. შეგიძლიათ განსაზღვროთ კომპლექსურობის რამდენიმე დონე: I (introduced) - საწყისი/საბაზო დონე, D (Developed) - განმტკიცების დონე, სადაც ხდება კომპეტენციის განვითარება და მისი გამოყენება, M (mastered) - სრულად ათვისებული კომპეტენციის დონე, სადაც ხდება კომპეტენციის გამოვლენა პროგრამის დასრულებისთვის საჭირო კომპლექსურობით¹⁵. შესაბამისად, პროგრამის რუკა უფრო მკაფიოა, თუ მასში კურსებისა და პროგრამის სწავლის შედეგების მიმართება ასახავს კურსებში განვითარებული რელევანტური კომპეტენციების კომპლექსურობის დონეს.

ცხრილი #4: პროგრამის სწავლის შედეგების რუკა (კომპლექსურობის დონის მიხედვით)

	კურსი 1	კურსი 2	კურსი 3	კურსი 4
პროგრამის სწავლის შედეგი 1	I			
პროგრამის სწავლის შედეგი 2		I		
პროგრამის სწავლის შედეგი 3			D	
პროგრამის სწავლის შედეგი 4	I	D		M

პროგრამის სწავლის შედეგების რუკაზე მუშაობის პროცესში შესაძლებელი გახდება იმის გამოვლენა, თუ რამდენად კარგად არის სინქრონიზირებული პროგრამის კურიკულუმი პროგრამის სწავლის შედეგებთან. მაგ., შეიძლება დადგინდეს, რომ პროგრამის რომელიმე სწავლის შედეგის რელევანტური კომპეტენციების განვითარება არც ერთ კურსში არ არის გათვალისწინებული ან პროგრამის კურსებში ხდება არასაკმარისი კომპლექსურობის კომპეტენციების განვითარება. პროგრამის რუკა ასევე მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმის განსაზღვრისთვის, რომელიც მოიცავს სამიზნე ნიშნულებს, რადგან რუკის საფუძველზე გამოვლინდება ის კურსები, რომელთა

¹⁴ პროგრამის და კურსის სწავლის შედეგებთან დაკავშირებული რეკომენდაციები, გთხოვთ, იხ. “ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროგრამის შეფასების კრიტერიუმები”.

¹⁵ სწავლის შედეგების კომპლექსურობის დონეების აღნიშვნისთვის შეიძლება იყოს გამოყენებული სხვა ტერმინებიც - მაგ.: Introduce, Reinforce, Emphasize.

გამოყენებით შესაძლებელი იქნება პროგრამის სწავლის შედეგების ეფექტური შეფასება. რუკის გამოყენება ასევე შესაძლებელია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესში მიღებული შედეგების ინტერპრეტაციის დროს, რადგან მის საფუძველზე შეიძლება განისაზღვროს, პროგრამის რომელი კომპონენტის მოდიფიცირება იქნება საჭირო შედეგების გაუმჯობესებისთვის.

☀ ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, რამდენიმე მინიშნება პროგრამის სწავლის შედეგების რუკის შედგენისთვის:

- შეეცადეთ, პროგრამა ააგოთ ისე, რომ ხდებოდეს პროგრამის თითოეული სწავლის შედეგის რელევანტური კომპეტენციების განვითარება ჯერ საწყის დონეზე, ხოლო შემდეგ - განმტკიცების და სრული ათვისების დონეზე;
- შეეცადეთ, პროგრამის თითოეული სწავლის შედეგი დაუკავშიროთ პროგრამის ფარგლებში შეთავაზებულ სავალდებულო თუ სავალდებულო-არჩევით კურსებს/კომპონენტებს იმგვარად, რომ ამ კურსების/კომპონენტების სწავლის შედეგებში მკაფიოდ იყოს განსაზღვრული პროგრამის ამ სწავლის შედეგებისთვის რელევანტური კომპეტენციები;
- თუკი რუკის მიხედვით არ დასტურდება, რომ რომელიმე სწავლის შედეგი მოიაზრებს ყველაზე მაღალი დონის კომპეტენციების განვითარებას: ა) ეს სწავლის შედეგი ან არ არის საკმარისად მნიშვნელოვანი და არ უნდა იყოს გათვალისწინებული პროგრამის სწავლის შედეგების ჩამონათვალში (ასეთ შემთხვევაში ის შეიძლება დარჩეს მხოლოდ რომელიმე კურსის სწავლის შედეგად) ან ბ) შესაძლოა პროგრამის სტრუქტურა საჭიროებდეს გადახედვას იმ თვალსაზრისით, რომ პროგრამის რომელიმე რელევანტურ კურსში უზრუნველყოფილი იყოს პროგრამის სწავლის შედეგით განსაზღვრული კომპეტენციის სრულად ათვისება.
- რეკომენდებულია, პროგრამის რუკაზე მუშაობის პროცესში მონაწილეობდეს პროგრამის ხელმძღვანელი, პროგრამის სამუშაო ჯგუფი და პროგრამის შეფასების პროცესში ჩართული ადმინისტრაციული პერსონალი (ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, მონაცემების დამუშავებაზე პასუხისმგებელი პირები და ა.შ.).

მაგალითი 2: პროგრამის და კურსის სწავლის შედეგების სინქრონიზაცია¹⁶

რუკაში ამ სწავლის შედეგისთვის, რომელშიც მკაფიოდ არის განსაზღვრული, თუ რისი კეთება შეეძლება სტუდენტს პროგრამის დასრულების შემდეგ, უნდა მოინიშნოს კურსები, რომლებშიც მოხდება შესაბამისი უნარების განვითარება, სასურველი კომპლექსურობის დონის მითითებით (I, D ან M).

(*ჯანდაცვის*) **პროგრამის სწავლის შედეგი 4:** პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტები შეძლებენ შეიმუშაონ, განახორციელონ და შეაფასონ ადვოკატირების სტრატეგია ჯანმრთელი ცხოვრების ხელშეწყობი ერთ-ერთი პროგრამისთვის.

(*ჯანდაცვის*) პროგრამის სწავლის შედეგების რუკა:

	კურსი 1	კურსი 2	კურსი 3	კურსი 4
პროგრამის სწავლის შედეგი 1	I			
პროგრამის სწავლის შედეგი 2		I		
პროგრამის სწავლის შედეგი 3			D	
პროგრამის სწავლის შედეგი 4	I	D		M (ს.5)

ამ კურსის სტუდენტებს უვითარდებათ ყველაზე კომპლექსური რელევანტური უნარები

(*ჯანდაცვის*) პროგრამის კურსის 4 სწავლის შედეგები:


კურსის 4 რამოდენიმე სწავლის შედეგი ნაკლები კომპლექსურობისაა (I და D დონეები), მათი უმრავლესობა ყველაზე მაღალი კომპლექსურობისაა და ეს უნარები პროგრამის მე-4 სწავლის შედეგის რელევანტურია

- სტუდენტს შეუძლია, განმარტოს ადვოკატირების სტრატეგიების არსებული მოდელები;
- სტუდენტს შეუძლია, განახორციელოს საჭიროებების ანალიზი;
- სტუდენტს შეუძლია, განსაზღვროს სტრატეგიის მიზნები და ამოცანები;
- სტუდენტს შეუძლია, ჩამოაყალიბოს ადვოკატირების სტრატეგიის რელევანტური დასაბუთება;
- სტუდენტს შეუძლია, განსაზღვროს სტრატეგიის ეფექტურობის შეფასების მეთოდები;
- სტუდენტს შეუძლია, შექმნას მასალები (ბროშურა) პროგრამის მარკეტინგისთვის;
- სტუდენტს შეუძლია, განსაზღვროს ადვოკატირების სტრატეგიის ხელშეწყობი და ხელისშემშლელი ფაქტორები.

¹⁶ წყარო: California State University, East Bay. "Aligning Program and Course Learning Outcomes to the Student Learning Experience: A Guide for Faculty" <https://www.csueastbay.edu/aps/files/docs/aligning-program-and-course-learning-to-the-student-learning-experience-a-guide-for-faculty.pdf> (ინტერნეტიდან ამოღებულია 03.07.2023)

რადგან კურსში 4 ხდება ყველა იმ კომპლექსური კომპეტენციის სრულად ათვისება (mastery level), რომელიც დაკავშირებულია პროგრამის მე-4 სწავლის შედეგთან, კერძოდ კი ადვოკატირების სტრატეგიის შემუშავების და შეფასების უნარებთან, რაც მკაფიოდ არის ასახული კურსის სწავლის შედეგებში, ყველაზე რელევანტური იქნება, აღნიშნული კურსი აღებული იყოს სამიზნე ნიშნულებისთვის და მისი გამოყენებით მოხდეს პროგრამის მე-4 სწავლის შედეგში განსაზღვრული კომპეტენციების შეფასება.

სამიზნე ნიშნულები¹⁷¹⁸



მას შემდეგ, რაც დასრულდება პროგრამის სწავლის შედეგებსა და სწავლის შედეგების (კომპეტენციათა) რუკაზე მუშაობა, პროგრამის ჯგუფმა უნდა შეადგინოს პროგრამის თითოეული სწავლის შედეგის შეფასების რელევანტური, ეფექტური გეგმა, რომელიც იძლევა შესაძლებლობას, შეფასდეს, აღწევს თუ არა პროგრამა თავის სწავლის შედეგს. პროგრამის სწავლის შედეგების ასეთი შეფასების გეგმის მნიშვნელოვან ელემენტს

სამიზნე ნიშნულები წარმოადგენენ.

☼ სამიზნე ნიშნული ადგენს სტუდენტების მიღწევების დონეს, უფრო ზუსტად კი - სტუდენტების მიღწევების მოსალოდნელ და მისაღებ მინიმალურ “ზღვარს”, რომელიც იძლევა შესაძლებლობას, ჩაითვალოს, რომ პროგრამის სწავლის შედეგი მიღწეულია. სამიზნე ნიშნულისთვის ხშირ შემთხვევაში განისაზღვრება, სტუდენტების ყველაზე მცირე რა რაოდენობა (%) მიაღწევს დადგენილ მინიმალურ ზღვარს. სამიზნე ნიშნულის მაგალითი შეიძლება იყოს ასეთი: სტუდენტების მინიმუმ $x\%$ -მა უნდა მიიღოს მინიმუმ 10 ქულა (მაქსიმალური 30 ქულიდან).

☼ პროგრამის სამიზნე ნიშნულის განსაზღვრა ხდება ყველა იმ სტუდენტის შედეგის გათვალისწინებით, რომლებიც მონაწილეობენ შეფასების პროცესში¹⁹.

☼ სამიზნე ნიშნულების განსაზღვრა ხდება პროგრამის თითოეულ სწავლის შედეგისთვის ინდივიდუალურად.

¹⁷ წყარო: Tulane University. “Academic Assessment Cycle - Curriculum Mapping”.

<https://oair.tulane.edu/assessment/academic-targets-and-benchmarks> (ინტერნეტიდან ამოღებულია 03.07.2023)

¹⁸ წყარო: Texas Tech University. “Assessing Student Learning in Degree Programs”. <https://www.depts.ttu.edu/opa/nuventive/ProgramAssessmentHandbook2018.pdf?fbclid=IwAR0VRWELP3CbZOilb6P6nWh01Xu3gKKxC7iVGwtaOkRWRtGfrrIBDJZrHU> (ინტერნეტიდან ამოღებულია 03.07.2023).


¹⁹ ზოგჯერ, შესაძლებელია, შერჩევის გაკეთება (sampling), თუმცა ასეთი შერჩევა უნდა იყოს ვალიდური და იძლეოდეს განზოგადების შესაძლებლობას.

როგორ განსაზღვროთ სტუდენტების მიღწევების მოსალოდნელი მინიმალური “ზღვარი”?

სტუდენტების მიღწევების მოსალოდნელი მინიმალური (რაოდენობრივი) “ზღვრის” დადგენისთვის მნიშვნელოვანია, პროგრამის სამუშაო ჯგუფმა იმსჯელოს შეფასების იმ მაჩვენებელზე, რომელიც ყველაზე უკეთ ასახავს კონკრეტული სწავლის შედეგის მიღწევის დონეს. მიუხედავად იმისა, რომ ეს არ არის მკაცრი წესი, სამიზნე ნიშნულები ხშირად განისაზღვრება სტუდენტების მიღწევების საშუალო მაჩვენებლის გათვალისწინებით, რაც, უმეტეს შემთხვევაში, ითვლება, როგორც მისაღები და საკმარისი პროგრამის დასრულებისთვის.

სამიზნე ნიშნულები შეიძლება განსხვავებული პრინციპით იყოს განსაზღვრული, პროგრამის სპეციფიკის, საჭიროებების და ასევე, დარგობრივ დოკუმენტში განსაზღვრული სტანდარტების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) (მაგ: მკაცრად სპეციალიზირებული პროგრამები, მაღალი საფეხურის პროგრამები და ა.შ.) გათვალისწინებით.

მონაცემების შეგროვება²⁰



მონაცემების შეგროვება პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების განუყოფელი ნაწილია. ის შეფასების გეგმის მეორე მნიშვნელოვანი ასპექტია და მოიცავს მონაცემების შეგროვების ინსტრუმენტებს (შეფასების მეთოდებს) და პერიოდულობას.

პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება ხდება პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდების გამოყენებით.

პირდაპირი შეფასებისთვის გამოიყენება შეფასების ინსტრუმენტები (მეთოდები), რომლებიც აფასებენ უშუალოდ სტუდენტების კომპეტენციებს (ამ შემთხვევაში მხედველობაში არ მიიღება, თუ როგორ აფასებენ თავად სტუდენტები ამ კომპეტენციებს). პროგრამის თითოეული სწავლის შედეგის შეფასება უნდა მოხდეს პირდაპირი მეთოდით და მინიმუმ ერთი რელევანტური ინსტრუმენტის გამოყენებით.

არაპირდაპირი შეფასებისთვის გამოიყენება შეფასების ინსტრუმენტები (მეთოდები), რომლებიც ითვალისწინებენ სტუდენტების მხრიდან უკუკავშირის მიღებას სწავლასთან დაკავშირებით. არაპირდაპირი შეფასების შედეგი გამოიყენება დამატებითი ინფორმაციის/მონაცემების მოპოვების მიზნით და ხშირად გვეხმარება პირდაპირი მეთოდით შეგროვებული მონაცემების განმარტებასა და ახსნაში.

სწავლის შედეგების პირდაპირი და არაპირდაპირი შეფასებისთვის გამოყენებული ინსტრუმენტების (მეთოდების) მაგალითებისთვის იხ. ცხრილი #5.

²⁰ წყარო: Tulane University. “Academic Assessment Cycle - Data Collection”. <https://oair.tulane.edu/assessment/academic-data-collection> (ინტერნეტიდან ამოღებულია 05.07.2023)

ცხრილი #5: პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მეთოდები²¹

პირდაპირი შეფასების ინსტრუმენტები (მეთოდები)	არაპირდაპირი შეფასების ინსტრუმენტები (მეთოდები)
კურსის ფარგლებში გათვალისწინებული გამოცდა/პროექტი/დავალება	სტუდენტების გამოკითხვა
საკურსო წერითი ნაშრომი, ლაბორატორიული სამუშაოს ანგარიში, შემთხვევის ანალიზი და სხვა	სტუდენტების, კურსდამთავრებულების ფოკუს ჯგუფები
(საველე/კლინიკურ/საწარმოო პრაქტიკაზე) დაკვირვება	სტუდენტების, კურსდამთავრებულების ჩაღრმავებული ან ჯგუფური ინტერვიუ
სტანდარტიზირებული ტესტი	კურსდამთავრებულთა გამოკითხვა
პრეზენტაცია	დამსაქმებელთა გამოკითხვა, ფოკუს ჯგუფი, ჩაღრმავებული ინტერვიუ
პორტფოლიო	დამამთავრებელი სემესტრის სტუდენტების გამოკითხვა, ფოკუს ჯგუფი, ჯგუფური ინტერვიუ
პოსტერი	
ინდივიდუალური და ჯგუფური პროექტი	
დისკუსია კლასში ან ტრანსკრიპტის ანალიზი	
დამამთავრებელი სემესტრის პროექტი	
ჟურნალი	

შეფასების პირდაპირი ინსტრუმენტების (მეთოდების) შერჩევის შემდეგ, მნიშვნელოვანია მათთვის შემუშავდეს რელევანტური შეფასების **რუბრიკები**²², რომლებშიც მოცემული იქნება²³:

- კრიტერიუმი: შესაფასებელი კომპეტენციის ის კონკრეტული ასპექტები ან მახასიათებლები, რომელიც უნდა შეფასდეს კონკრეტულ დავალებაში;
- მიღწევის დონეები: თითოეული კრიტერიუმის დეტალური თვისებრივი დახასიათება (აღწერა) მისი მიღწევის რეალური დონის მიხედვით.

რუბრიკები შეიძლება იყოს:

- **ანალიტიკური**: იძლევა დეტალური შეფასების და უკუკავშირის მიწოდების შესაძლებლობას კომპეტენციისთვის მნიშვნელოვანი თითოეული ასპექტის ან მახასიათებლის მიხედვით. ასეთი შეფასება სტუდენტის მიღწევებთან (შედეგებთან) დაკავშირებით ითვალისწინებს დეტალური უკუკავშირის მიწოდებას მისი ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეების შესახებ. მოიცავს მკაფიო და დეტალურ აღწერას მიღწევის თითოეული დონისთვის.

²¹ცხრილში მოცემული ჩამონათვალი ეყრდნობა მაგალითს - წყარო Tulane University. "Outcomes Assessment Plans". <https://tulane.app.box.com/s/a317zjaolmpcd8wtqpmor1m5cqmy2see> (ინტერნეტიდან ამოღებულია 03.07.2023)

²² შეფასების კრიტერიუმებთან და რუბრიკებთან დაკავშირებული რეკომენდაციები, გთხოვთ, იხ. "ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროგრამის შეფასების კრიტერიუმები".

²³ წყარო: Univesrity at Buffalo. "Curriculum, Assessment and Teaching Transformation". <https://www.buffalo.edu/catt/develop/design/designing-assessments/rubrics.html> (ინტერნეტიდან ამოღებულია 05.07.2023)

- **ჰოლისტური:** იძლევა შეფასების შესაძლებლობას მიღწევის სხვადასხვა დონის გათვალისწინებით. მოიცავს მიღწევის დონის დეტალურ აღწერას, თუმცა არ ითვალისწინებს დეტალური უკუკავშირის მიწოდებას სტუდენტის მიღწევებთან (შედეგებთან) დაკავშირებით.
- **მოცემული მოსანიშნის სიის (checklist) სახით:** იძლევა შესაძლებლობას, სტუდენტის მიღწევები (შედეგები) შეფასდეს იმის მიხედვით, არის თუ არა მათში გამოვლენილი კომპეტენციისთვის ყველა მნიშვნელოვანი ასპექტი ან მახასიათებელი. მოიცავს ასეთი ასპექტების და მახასიათებლების ჩამონათვალს.

სხვადასხვა რუბრიკის მაგალითებისთვის, იხ. ცხრილები #6-8²⁴

ცხრილი #6: ანალიტიკური რუბრიკის მატრიცა (მაგალითი):

	უმაღლესი დონე (ქულა A)	საშუალო დონე (ქულა B)	დაბალი დონე (ქულა C)	შეფასებისთვის არასაკმარისი დონე	ქულა
კრიტერიუმი 1 (შესაფასებელი კომპეტენციის ასპექტი ან მახასიათებელი)	თვისებრივი დახასიათება	თვისებრივი დახასიათება	თვისებრივი დახასიათება	თვისებრივი დახასიათება	
კრიტერიუმი 2 (შესაფასებელი კომპეტენციის ასპექტი ან მახასიათებელი)	თვისებრივი დახასიათება	თვისებრივი დახასიათება	თვისებრივი დახასიათება	თვისებრივი დახასიათება	
კრიტერიუმი 3 (შესაფასებელი კომპეტენციის ასპექტი ან მახასიათებელი)	თვისებრივი დახასიათება	თვისებრივი დახასიათება	თვისებრივი დახასიათება	თვისებრივი დახასიათება	
ჯამური ქულა					

სტუდენტის ნაშრომი (მიღწევები) ფასდება იმის მიხედვით, თუ რამდენად აკმაყოფილებს ის კონკრეტული დონის აღწერას თითოეულ კრიტერიუმთან მიმართებაში. ჯამური ქულის გაანგარიშება კი ხდება თითოეულ კრიტერიუმში მიღებული ქულების ჯამით.

ცხრილი #7: ჰოლისტური რუბრიკის მატრიცა (მაგალითი):

	თვისებრივი დახასიათება
უმაღლესი დონე (ქულა A)	დეტალური თვისებრივი დახასიათება რამდენიმე კრიტერიუმის (შესაფასებელი კომპეტენციის რამდენიმე ასპექტის ან მახასიათებლის) გათვალისწინებით
საშუალო დონე (ქულა B)	დეტალური თვისებრივი დახასიათება რამდენიმე კრიტერიუმის (შესაფასებელი კომპეტენციის რამდენიმე ასპექტის ან მახასიათებლის) გათვალისწინებით
დაბალი დონე (ქულა C)	დეტალური თვისებრივი დახასიათება რამდენიმე კრიტერიუმის (შესაფასებელი კომპეტენციის რამდენიმე ასპექტის ან მახასიათებლის) გათვალისწინებით
შეფასებისთვის არასაკმარისი დონე	დეტალური თვისებრივი დახასიათება რამდენიმე კრიტერიუმის (შესაფასებელი კომპეტენციის რამდენიმე ასპექტის ან მახასიათებლის) გათვალისწინებით

²⁴ რუბრიკების მაგალითები: <https://www.csu.edu/CTRE/pdf/rubricexamples-all.pdf?fbclid=IwAR26ualZWVcsqOdguSLA8tbt2uJGDvEnlqCLE0cW9wRF0-RiHbWAZVDKaY>
<https://www.buffalo.edu/content/dam/www/catt/develop/design/2-1-6-d---rubrics/Rubric%20-%20Workbook.pdf>

სტუდენტის ნაშრომი (მიღწევები) ფასდება იმის მიხედვით, თუ რამდენად აკმაყოფილებს ის კონკრეტული დონის აღწერას. ქულის განსაზღვრა კი ხდება თითოეული დონისთვის მინიჭებული ქულის ან ამ დონისთვის განსაზღვრული მინიმალური და მაქსიმალური ქულის გათვალისწინებით.

ცხრილი #8: რუბრიკის მატრიცა checklist-ისთვის (მაგალითი):

მონიშნეთ (✓), თუ ნაშრომი მოიცავს შესაბამის მტკიცებულებას	მონიშნეთ (✓), თუ ნაშრომი არ მოიცავს შესაბამის მტკიცებულებას	კრიტერიუმების (შესაფასებელი კომპეტენციის ასპექტების ან მახასიათებლების) ჩამონათვალი
ქულა 1	ქულა 0	

სტუდენტის ნაშრომი (მიღწევები) ფასდება იმის მიხედვით, არის თუ არა მასში ასახული შესაფასებელი კომპეტენციის ყველა მოცემული ასპექტი ან მახასიათებელი. ჯამური ქულის გაანგარიშება კი ხდება თითოეულ კრიტერიუმთან მიმართებაში მინიჭებული ქულების ჯამით.

როგორ შევარჩიოთ პროგრამის კურსები/კომპონენტები პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებისთვის?

პროგრამის სწავლის შედეგების პირდაპირი შეფასებისთვის უმჯობესია, შევარჩიოთ პროგრამის რუკაში მონიშნული ის რელევანტური კურსები, რომლებშიც უზრუნველყოფილია პროგრამის სწავლის შედეგით განსაზღვრული კომპეტენციის სრულად ათვისება (ასეთ კურსებში სწავლის შედეგების კომპლექსურობა ყველაზე მაღალია - M).

შერჩეულ კურსებში უზრუნველყოფილი უნდა იყოს უშუალოდ პროგრამის შესაფასებელი სწავლის შედეგით განსაზღვრული კომპეტენციის შეფასება პირდაპირი შეფასების ინსტრუმენტების (მეთოდების) და რელევანტური რუბრიკების გამოყენებით (იხ. ზემოთ).

შერჩეულ კურსში უნდა მოხდეს სამიზნე ნიშნულის განსაზღვრა პირდაპირი შეფასების ინსტრუმენტთან (მეთოდთან) მიმართებაში, მისთვის განსაზღვრული ქულის გათვალისწინებით.

მაგალითი 3: სამიზნე ნიშნულის განსაზღვრა პროგრამის სწავლის შედეგისთვის

(ჯანდაცვის) პროგრამის სწავლის შედეგი 4: პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტები შეძლებენ შეიმუშაონ, განახორციელონ და შეაფასონ ადვოკატირების სტრატეგია ჯანმრთელი ცხოვრების ხელშეწყობის ერთ-ერთი პროგრამისთვის.

(ჯანდაცვის) პროგრამის სწავლის შედეგების რუკა:

	კურსი 1	კურსი 2	კურსი 3	კურსი 4
პროგრამის სწავლის შედეგი 1	I			
პროგრამის სწავლის შედეგი 2		I		
პროგრამის სწავლის შედეგი 3			D	
პროგრამის სწავლის შედეგი 4	I	D		M (ს.5)

ამ კურსში სტუდენტებმა უნდა შეარჩიონ ჯანმრთელი ცხოვრების ხელშეწყობის ერთ-ერთი პროგრამა და მისთვის შეიმუშაონ ადვოკატირების ეფექტური სტრატეგიის პროექტი. ამ დავალების დიზაინი ითვალისწინებს სტუდენტების მიერ ადვოკატირების სტრატეგიის შემუშავებასთან დაკავშირებული კომპეტენციების სრულად გამოვლენას. შესაბამისად, ამ პროექტის გამოყენება შესაძლებელია პროგრამის #4 სწავლის შედეგში განსაზღვრული ერთ-ერთი კომპეტენციის („ადვოკატირების სტრატეგიის შემუშავება“) პირდაპირი შეფასებისთვის. შესაბამისად, ამ დავალებისთვის უნდა განისაზღვროს სამიზნე ნიშნული, რომელიც შეიძლება ასე გამოიყურებოდეს - სტუდენტების მინიმუმ 65% მიიღებს მინიმუმ 12 ქულას (მაქსიმალური 20 ქულიდან, რომელიც ამ დავალებისთვის არის განსაზღვრული).

☞ პროგრამის სწავლის შედეგის შეფასებისთვის არ არის მიზანშეწონილი მთლიანი სასწავლო კურსის შერჩევა და, შესაბამისად, მასში გათვალისწინებული ყველა შეფასების ინსტრუმენტის (მეთოდის) გამოყენება, რადგან როგორც წესი, ერთ მთლიან კურსში ხდება ბევრი სხვადასხვა კომპეტენციის, მათ შორის ტრანსფერული კომპეტენციების, განვითარება, რომლებიც შეიძლება არ იყოს პროგრამის შესაფასებელი კონკრეტული სწავლის შედეგის რელევანტური. შესაბამისად, რადგან სტუდენტებს კურსის განმავლობაში გათვალისწინებულ სხვადასხვა დავალებაში უწყევთ სხვადასხვა კომპეტენციის გამოვლენა, ბუნდოვანი ხდება, რა კავშირშია სტუდენტების ჯამური შედეგები და მიღწევები (ყველა დავალებაში) პროგრამის შესაფასებელი სწავლის შედეგში განსაზღვრულ კონკრეტულ კომპეტენციასთან მიმართებაში. ასეთი შეფასების შედეგების გამოყენება კი, შეუძლებელი იქნება იმის დასადგენად, მიაღწია თუ არა პროგრამამ მის სწავლის შედეგში განსაზღვრულ კონკრეტულ კომპეტენციებს, ან რისი გაუმჯობესებაა საჭირო, რომ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მაჩვენებლები გაუმჯობესდეს.

როგორ განსაზღვროთ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პერიოდულობა?

სამიზნე ნიშნულების დადგენის შემდეგ, პროგრამის ჯგუფმა უნდა განსაზღვროს მონაცემების შეგროვების პერიოდულობა და დაგეგმოს, თუ როდის, რა თანმიმდევრით და სიხშირით უნდა გროვდებოდეს აღნიშნული მონაცემები პროგრამის ამა თუ იმ სწავლის შედეგის შეფასებისთვის. სხვადასხვა სწავლის შედეგის შეფასებისთვის მონაცემების შეგროვება შეიძლება ხდებოდეს სხვადასხვა პერიოდში და განსხვავებული სიხშირით (მაგ.: თუ საბაკალავრო პროგრამას აქვს 8 სწავლის შედეგი, სწავლის შედეგების #1, #3 და #4 შეფასებისთვის მონაცემები შეიძლება შეგროვდეს მე-6 სემესტრის დასასრულისთვის, სწავლის შედეგების #5, #6 და #8 შემთხვევაში - მე-8 სემესტრის ბოლოს, ხოლო სწავლის შედეგის #7 - მე-7 სემესტრის დასრულებისთვის და ა.შ.).

☞ თუმცა, აქვე მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ, რომ პროგრამის განხორციელების ერთი ციკლის²⁵ განმავლობაში პროგრამის ყველა სწავლის შედეგი მინიმუმ ერთხელ მაინც უნდა შეფასდეს.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებისთვის რელევანტური კურსების, პირდაპირი შეფასებისთვის შესაბამისი ინსტრუმენტების (შეფასების მეთოდების) შერჩევა და რუბრიკების განსაზღვრა, სამიზნე ნიშნულებისა და შეფასების პერიოდულობის დადგენა, სწავლის შედეგების შეფასების ეფექტური გეგმის მნიშვნელოვანი ელემენტებია. ასეთი გეგმის შედგენისთვის და მისი თვალსაჩინოებისთვის იხ. სარეკომენდაციო ფორმა ქვემოთ.

ცხრილი #9. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმის სარეკომენდაციო ფორმა


საგანმანათლებლო პროგრამის სათაური				
პროგრამის სწავლის შედეგები	სასწავლო კურსი/პროგრამის კომპონენტი	შეფასების /ინსტრუმენტი (მეთოდი)	შეფასების პერიოდი	სამიზნე ნიშნული
გთხოვთ, ჩამოთვალოთ პროგრამის თითოეული სწავლის შედეგი, ცალ-ცალკე.	გთხოვთ, მიუთითოთ პროგრამის ის კურსი/კომპონენტი, რომელიც შერჩეულია შესაფასებელ სწავლის შედეგში განსაზღვრული კომპეტენციის შეფასებისთვის	გთხოვთ, მიუთითოთ კურსში გამოყენებული პირდაპირი შეფასების ის ინსტრუმენტი (მეთოდი), რომლითაც მოხდება პროგრამის შესაფასებელ	გთხოვთ, მიუთითოთ მონაცემების შეგროვებისთვის და ანალიზისთვის განკუთვნილი სემესტრი (როგორც წესი, ეს იქნება შეფასების	გთხოვთ, მიუთითოთ სამიზნე ნიშნული - მინიმალური მისაღები “ზღვარი”, რომელიც დაწესებულია შერჩეული შეფასების ინსტრუმენტისთვის

²⁵ პროგრამის განხორციელების ერთი ციკლი შეადგენს: საბაკალავრო პროგრამის შემთხვევაში - 5 წელს (3 საანგარიშო პერიოდს), სამაგისტრო პროგრამის შემთხვევაში - 3 წელს (2 საანგარიშო პერიოდს), მედიცინის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში - 7 წელს (4 საანგარიშო პერიოდს), მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო - სამაგისტრო პროგრამის შემთხვევაში - 6 წელს (4 საანგარიშო პერიოდს), სადოქტორო პროგრამის შემთხვევაში - 6 წელს (4 საანგარიშო პერიოდს) (იხ. “ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროგრამების განხორციელების შეფასების წესი”).

	<i>(სასურველია სრული დაუფლების დონეზე).</i>	<i>სწავლის შედეგში განსაზღვრული კომპეტენციის შეფასება.</i>	<i>შემდგომი სემესტრი).</i>	<i>(მეთოდისთვის) განსაზღვრული მაქსიმალური ქულის გათვალისწინებით და სტუდენტების მინიმალური რაოდენობა (%), რომელთა შედეგები დააკმაყოფილებს განსაზღვრულ სამიზნე ნიშნულს ან იქნება მასზე მაღალი.</i>
პროგრამის სწავლის შედეგი 1				
პროგრამის სწავლის შედეგი 2				
პროგრამის სწავლის შედეგი 3				
პროგრამის სწავლის შედეგი 4				

პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმა (ცხრილი #9) უნდა იყოს წარდგენილი პროგრამის შემუშავების და დამტკიცების პროცესში (იხ. “ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანისა და გაუქმების წესი და პროცედურები”). აღნიშნული გეგმა, მასთან დაკავშირებული პროცესები და პროცედურები წარმოადგენენ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში პროგრამის განხორციელების შეფასების მოქმედი სისტემის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან და განუყოფელ ნაწილს. გეგმაში განსაზღვრული შეფასებების შედეგები აისახება პროგრამების პერიოდულ თვითშეფასების ანგარიშებში (იხ. “ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროგრამების განხორციელების შეფასების წესი”).²⁶

²⁶ მითითებული წესები შეგიძლიათ იხ. ვებ-გვერზე <https://iliauni.edu.ge/ge/iliauni/units/qualityassurance/regulations>



მას შემდეგ, რაც პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმაში განისაზღვრება პირდაპირი შეფასების რელევანტური ინსტრუმენტები (მეთოდები) და სამიზნე ნიშნულები, საჭიროა, მონაცემების შეგროვება განსაზღვრულ პერიოდებში (სემესტრებში), მათი ანალიზი და ინტერპრეტაცია.

ამ ეტაპზე მნიშვნელოვანია, მოხდეს სტუდენტების მიღწევების შესახებ შეგროვებული მონაცემების ადეკვატური და თანმიმდევრული აღწერა იმისთვის, რომ მკაფიო გახდეს - შეფასების რა შედეგები მივიღეთ (მაგ., იმ შეთხვევაში, თუკი გამოყენებული იყო რუბრიკები, სასურველია მონაცემების აღწერისას მკაფიო იყოს შეფასების შედეგები განსაზღვრული კრიტერიუმების მიხედვით - რომელ კრიტერიუმებშია სტუდენტების მიღწევები მაღალი ან დაბალი). სასურველია, იყოს მითითებული საერთო სტუდენტების რაოდენობა, რომელიც იღებდა მონაწილეობას შეფასებაში და სტუდენტების რაოდენობა (%), რომელთა შედეგი აკმაყოფილებს მოსალოდნელ მინიმალურ “ზღვარს” (სამიზნე ნიშნულს) ან აღემატება მას.

მონაცემების ანალიზთან დაკავშირებული ინფორმაცია აისახება პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმაში, რომლის სარეკომენდაციო ფორმა მოცემულია ცხრილში #10.

²⁷ წყარო: Tulane University. „Academic Assessment Cycle –Results.“ <https://oair.tulane.edu/assessment/academic-results> (ინტერნეტიდან ამოღებულია 06.07.2023)


²⁸ წყარო: Tulane University. „Outcomes Assessment Plan.“

<https://tulane.app.box.com/s/a317zjaolmpcd8wtqpmor1m5cqmy2see> (ინტერნეტიდან ამოღებულია 06.07.2023)

ცხრილი #10: პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმის სარეკომენდაციო ფორმა

პროგრამის სწავლის შედეგები	სასწავლო კურსი/პროგრამის კომპონენტი	შეფასების /ინსტრუმენტი (მეთოდი)	შეფასების პერიოდი/სამიზნე ნიშნული	ანალიზის შედეგები	დასკვნა (შედეგების ინტერპრეტაცია, განხორციელებული ან/და განსახორციელებელი აქტივობები, შედარება წინა პერიოდის მიღწევის მაჩვენებელთან)	სამიზნე ნიშნულის მიღწევა (დიახ/არა)
გთხოვთ, ჩამოთვალოთ პროგრამის თითოეული სწავლის შედეგი ცალ-ცალკე. იმ შემთხვევაში, თუკი რომელიმე სწავლის შედეგის პირდაპირი შეფასება არ განხორციელდა ანგარიშგების პერიოდის განმავლობაში, მის გასწვრივ ყველა ველში მიუთითეთ N/A.	აღწერა იხ. ზემოთ, ცხრილში #5	აღწერა იხ. ზემოთ, ცხრილში #5	აღწერა იხ. ზემოთ, ცხრილში #5	გთხოვთ, მიუთითოთ სტუდენტების საერთო რაოდენობა, რომელიც იღებდა მონაწილეობას შეფასებაში და სტუდენტების რაოდენობა (%), რომელთა შედეგი სამიზნე ნიშნულს აკმაყოფილებს ან აღემატება მას	აღწერა იხ. ქვემოთ, ცხრილში #11	გთხოვთ, მიუთითოთ “დიახ” თუ საანგარიშო პერიოდისთვის სამიზნე ნიშნული მიღწეულია და “არა” - თუკი ნიშნული მიღწეული არ არის და საჭიროა შესაბამისი ინტერვენციების დაგეგმვა და განხორციელება შედეგების გაუმჯობესებისთვის.
პროგრამის სწავლის შედეგი 1						
პროგრამის სწავლის შედეგი 2						
პროგრამის სწავლის შედეგი 3						
პროგრამის სწავლის შედეგი 4						

დასკვნები და გადაწყვეტილებები²⁹³⁰



‘შეფასება, თავისთავად, არაფრის მომცემია განვითარების თვალსაზრისით; მას ისეთივე ეფექტი აქვს, როგორც თერმომეტრის სიციხის დაწევაზე (მარკეზე, 1987)’.²⁹

მონაცემების ანალიზის საფუძველზე მნიშვნელოვანია, პროგრამის სამუშაო ჯგუფმა განსაზღვროს - ეს შედეგები რას ნიშნავს? ამისთვის, უნდა მოხდეს მიღებული შედეგების შედარება განსაზღვრულ სამიზნე ნიშნულებთან - არის თუ არა მიღწეული სამიზნე ნიშნულები?

პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების საფუძველზე დასკვნების გამოტანისთვის და გადაწყვეტილების მიღებისთვის მნიშვნელოვანია, ვიმსჯელოთ და გამოვალინოთ, თუ რა მიზეზებმა/გარემოებებმა განაპირობა ესა თუ ის სასურველი ან არასასურველი შედეგი? რა მუშაობს ან არ მუშაობს წარმატებით? რა საჭიროებს გაუმჯობესებას? რა ინტერვენციებია საჭირო სწავლის შედეგების მიღწევის მაჩვენებლის გასაუმჯობესებლად? და სხვა. შესაძლებელია, სამიზნე ნიშნული იყოს მიღწეული, მაგრამ იკვეთება თუ არა რაიმე კანონზომიერება, რომელსაც უნდა მიექცეს ყურადღება? როგორ უნდა შენარჩუნდეს ასეთი დადებითი შედეგები? მნიშვნელოვანია, მოხდეს წინა პერიოდების მიღწევის მაჩვენებლებთან შედარება.

☸ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მთავარი დანიშნულებაა პროგრამის მუდმივი განვითარების პროცესის უზრუნველყოფა და, შესაბამისად, მიღებული შედეგების გამოყენება პროგრამის გაუმჯობესების გზების განსაზღვრისთვის და საჭირო ცვლილებების განხორციელებისთვის. ეს უქმნის პროგრამის სამუშაო ჯგუფს შესაძლებლობას, კრიტიკულად გადახედოს პროგრამის სწავლის შედეგებს, პროგრამის (კომპეტენციათა) რუკას, პროგრამის სტრუქტურას, სასწავლო კომპონენტების შინაარსს (სილაბუსებს) და გადაამოწმოს³¹:

- რამდენად სწორადაა შერჩეული შეფასების ინსტრუმენტები (მეთოდები) და რუბრიკები კონკრეტული სწავლის შედეგის შეფასებისთვის?
- სად არის საჭირო მეტი ფოკუსირება შეფასებაში?
- ხომ არ არის საჭირო სწავლის შედეგის მოდიფიცირება (პროგრამის, კურსის)?

²⁹ წყარო: Tulane University. „Academic Assessment Cycle – Actions.“ <https://oir.tulane.edu/assessment/academic-actions> (ინტერნეტიდან ამოღებულია 07.07.2023)

³⁰ წყარო: Texas Tech University. „Assessing Student Learning in Degree Programs.“ <https://www.depts.ttu.edu/opa/nuventive/ProgramAssessmentHandbook2018.pdf?fbclid=IwAR0VRWELP3CbZOilb6P6nWh01Xu3gKKxC7iVGwtaOkrWRRtGfrrIBDJZrHU> (ინტერნეტიდან ამოღებულია 03.07.2023).

³¹ წყარო: Texas Tech University. „Assessing Student Learning in Degree Programs.“ <https://www.depts.ttu.edu/opa/nuventive/ProgramAssessmentHandbook2018.pdf?fbclid=IwAR0VRWELP3CbZOilb6P6nWh01Xu3gKKxC7iVGwtaOkrWRRtGfrrIBDJZrHU> (ინტერნეტიდან ამოღების თარიღი 06.07.2023)

- ხომ არ ვლინდება დამატებითი ასპექტების შესწავლის საჭიროება შეფასების მომდევნო ციკლისთვის?

გადაწყვეტილებების მიღების და პროგრამის გაუმჯობესებასთან დაკავშირებული ინტერვენციების დაგეგმვის პროცესს ხელს შეუწყობს ჯგუფის მიერ პროგრამის რუკასთან (იხ. ნაწილი “პროგრამის რუკა”, ზემოთ) დაბრუნება და გადამოწმება, პროგრამის რომელი კურსები უკავშირდება შესაფასებელი სწავლის შედეგების რელევანტური კომპეტენციების განვითარებას სხვადასხვა (მაგ. I, M) დონეზე, სად შეიძლება გაძლიერდეს რელევანტური საბაზო უნარები, რომლებზეც შემდგომ უნდა დაშენდეს უფრო რთული კომპეტენციები.

გადაწყვეტილებების მიღების პროცესში ასევე სასარგებლო იქნება, თუკი მოხდება შეფასების პროცესში იმ ასპექტების და მახასიათებლების გამოვლენა, რომელიც გამოყენებული იყო პროგრამის სწავლის შედეგის რელევანტური კომპეტენციების შეფასების პროცესში (მაგ. რუბრიკებში, checklist-ებში) და რომლებმაც მოახდინეს გავლენა მიღებულ შედეგებზე (იხ. ნაწილი “მონაცემების შეგროვება” ზემოთ).

იმ შემთხვევაში, თუკი სამიზნე ნიშნულები მიღწეულია და შეფასებების რამოდენიმე ციკლი ავლენს, რომ ეს ტენდენცია სტაბილურია, შესაძლებელია მოხდეს სამიზნე ნიშნულის აწევა და სტუდენტების მიღწევებისადმი უფრო მაღალი მოთხოვნების წაყენება. მოთხოვნების ამაღლება ასევე შეიძლება იყოს დაკავშირებული შეფასების რუბრიკებთან, კერძოდ, თუკი რუბრიკებში განსაზღვრული კონკრეტული კრიტერიუმი (შეფასების ასპექტი ან მახასიათებელი) გახდა უფრო კომპლექსური.

მონაცემების ინტერპრეტაციასთან დაკავშირებული ინფორმაცია, ასევე შეფასების შედეგების საფუძველზე გადაწყვეტილებები პროგრამის გაუმჯობესებისთვის აისახება პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმაში (იხ. ცხრილი #10, ქვემოთ).

ცხრილი #10: პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმის სარეკომენდაციო ფორმა (გაგრძელება)


პროგრამის სწავლის შედეგები	სასწავლო კურსი/პროგრამის კომპონენტი	შეფასების /ინსტრუმენტი (მეთოდი)	შეფასების პერიოდი/სამიზნე ნიშნული	ანალიზის შედეგები	დასკვნა (შედეგების ინტერპრეტაცია, განხორციელებული ან/და განსახორციელებელი აქტივობები, შედარება წინა პერიოდის მიღწევის მაჩვენებელთან)	სამიზნე ნიშნულის მიღწევა (დიახ/არა)
აღწერა იხ. ზემოთ, ცხრილში #10	აღწერა იხ. ზემოთ, ცხრილში #5	აღწერა იხ. ზემოთ, ცხრილში #5	აღწერა იხ. ზემოთ, ცხრილში #5	აღწერა იხ. ზემოთ, ცხრილში #10	გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ დასკვნა უნდა მოიცავდეს შედეგების ინტერპრეტაციის ნაწილს, სადაც აღწერილი იქნება როგორც სამიზნე ნიშნულების მიღწევის მოსალოდნელი ან არასასურველი შედეგის განმაპირობებელი გარემოებები/მიზეზები, ასევე გამოვლენილი საჭიროებები და მათზე საპასუხოდ დაგეგმილი აქტივობები. გთხოვთ, ასევე მიუთითოთ, რა დროისთვის უნდა შესრულდეს დაგეგმილი აქტივობები. აქვე უნდა მოხდეს წინა პერიოდის მიღწევის მაჩვენებლებთან შედარება და ტენდენციის გამოვლენა. მისაღები ტენდენციების არსებობის შემთხვევაში, გთხოვთ, განსაზღვროთ მათი შენარჩუნებისთვის საჭირო ღონისძიებები.	გთხოვთ, მიუთითოთ “დიახ” თუ სანგარიშო პერიოდისთვის სამიზნე ნიშნული მიღწეულია და “არა” - თუკი ნიშნული მიღწეული არ არის და საჭიროა შესაბამისი ინტერვენციების დაგეგმვა და განხორციელება შედეგების გაუმჯობესებისთვის.
პროგრამის სწავლის შედეგი 1						
პროგრამის სწავლის შედეგი 2						
პროგრამის სწავლის შედეგი 3						
პროგრამის სწავლის შედეგი 4						

ცხრილში #10 ასახული შეფასების შედეგები და მათთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები აისახება პროგრამის შიდა თვითშეფასების ანგარიშში (იხ. “ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროგრამების განხორციელების შეფასების წესი”)³²

მაგალითი 4 - პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების რუკა

- [University of New Mexico](#)
- [Dalton State College](#)
- [Community College of Allegheny County](#)

შედეგები³³



მას შემდეგ, რაც სამუშაო ჯგუფი დაგეგმავს და განხორციელებს პროგრამის განვითარებისთვის საჭირო აქტივობებს (იხ. ცხრილი #10 ზემოთ), მნიშვნელოვანია, მოხდეს მათი ეფექტურობის შეფასება. ეს კი, თავის მხრივ, მნიშვნელოვანი ეტაპია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესში, თუმცა ხშირად მას არ ექცევა სათანადო ყურადღება.


განხორციელებული აქტივობების ეფექტურობის შეფასება გულისხმობს მათი განხორციელების შემდეგ მონაცემების შეგროვებას და მათ შედარებას თავდაპირველ მაჩვენებლებთან - გაუმჯობესდა თუ არა შედეგები? ის პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების შემდეგ ციკლში უნდა იყოს გათვალისწინებული.

იდეალურია, თუკი შედეგები საგრძნობლად გაუმჯობესდა პირველივე ინტერვენციის განხორციელების შემდეგ. თუმცა, ხშირად, ინტერვენციებს არ აქვთ ასეთი ეფექტი ან ინტერვენციის შედეგები იმდენად უმნიშვნელოა, რომ თავდაპირველი სურათი არ იცვლება. ორივე შემთხვევაში, ეს უნდა გამოვლინდეს პროგრამების სწავლის შედეგების შეფასების შემდეგ ციკლში და, სადაც რელევანტურია, პროგრამის ჯგუფმა მოახდინოს რეფლექსია და დაგეგმოს ახალი აქტივობები.

დაგეგმილი და განხორციელებული აქტივობების ეფექტურობის შეფასებით “იკვრება” პროგრამის სწავლის შედეგის შეფასების ციკლი და ხდება პროგრამის მუდმივი განვითარების ნაწილი.

³² მითითებული წესი შეგიძლიათ იხ. ვებ-გვერზე <https://iliauni.edu.ge/ge/iliauni/units/qualityassurance/regulations>

³³ წყარო: Tulane University. „Academic Assessment Cycle – Impact.“ <https://oair.tulane.edu/assessment/academic-impact> (ინტერნეტიდან ამოღებულია 07.07.2023)



გამოყენებული რესურსები:

1. Clark College. "What is "Good" Assessment? A Variety of Perspectives". ინტერნეტიდან ამოღების თარიღი 29.06.2023.
https://www.clark.edu/tlc/outcome_assessment/documents/suskiel.pdf
2. Tulane University. "Assessment Cycle." ინტერნეტიდან ამოღების თარიღი 29.06.2023.
<https://oair.tulane.edu/assessment/academic-assessment-cycle>
3. "ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროგრამის შეფასების კრიტერიუმები".
<https://iliauni.edu.ge/ge/iliauni/units/qualityassurance/regulations>
4. Stony Brook University. "Articulating Goals and Objectives." ინტერნეტიდან ამოღების თარიღი 29.06.2023. <https://www.stonybrook.edu/commcms/oe/process/goals>
5. Quinnipiac University. „Bloom’s Taxonomy – Overview.“ ინტერნეტიდან ამოღების თარიღი 30.06.2023.
https://quonline.quinnipiac.edu/id/guides/planning/learningobjective_bloom_verbwheel.pdf
6. Tulane University. "Academic Assessment Cycle - Goal Setting - Student Learning Outcomes - How To." ინტერნეტიდან ამოღების თარიღი 29.06.2023.
<https://oair.tulane.edu/assessment/academic-student-learning-outcomes-how>
7. Vanderbilt University. "Bloom’s Taxonomy." ინტერნეტიდან ამოღების თარიღი 29.06.2023. <https://cft.vanderbilt.edu/guides-sub-pages/blooms-taxonomy/>
8. Buffalo University. "Learning Outcomes." ინტერნეტიდან ამოღების თარიღი 30.06.2023.
<https://www.buffalo.edu/catt/develop/design/learning-outcomes.html>
9. Stony Brook University. "Developing Student Learning Outcomes." ინტერნეტიდან ამოღების თარიღი 29.06.2023.
<https://tulane.app.box.com/s/g8c3hvp9ri5ca5h6228l9i0nr7a977h8>
10. Texas Tech University. "Assessing Student Learning in Degree Programs." ინტერნეტიდან ამოღების თარიღი 03.07.2023.
<https://www.depts.ttu.edu/opa/nuventive/ProgramAssessmentHandbook2018.pdf?fbclid=IwAR0VRWELP3CbZOilb6P6nWh01Xu3gKKxC7iVGwtaOkRWRRTGfrrIBDJZrHU>
11. Tulane University. "Academic Assessment Cycle - Curriculum Mapping." ინტერნეტიდან ამოღების თარიღი 03.07.2023.
<https://oair.tulane.edu/assessment/academic-curriculum-mapping>

12. Texas Tech University. "Assessing Student Learning in Degree Programs". ინტერნეტიდან ამოღების თარიღი 03.07.2023.
<https://www.depts.ttu.edu/opa/nuventive/ProgramAssessmentHandbook2018.pdf?fbclid=IwAR0VRWELP3CbZOilb6P6nWh01Xu3gKKxC7iVGwtaOkrWRRtGfrrIBDJZrHU>
13. California State University, East Bay. "Aligning Program and Course Learning Outcomes to the Student Learning Experience: A Guide for Faculty". ინტერნეტიდან ამოღების თარიღი 03.07.2023. <https://www.csueastbay.edu/aps/files/docs/aligning-program-and-course-learning-to-the-student-learning-experience-a-guide-for-faculty.pdf>
14. Tulane University. "Academic Assessment Cycle - Curriculum Mapping". (ინტერნეტიდან ამოღების თარიღი 03.07.2023.
<https://oir.tulane.edu/assessment/academic-targets-and-benchmarks>
15. Texas Tech University. "Assessing Student Learning in Degree Programs". ინტერნეტიდან ამოღების თარიღი 03.07.2023.
<https://www.depts.ttu.edu/opa/nuventive/ProgramAssessmentHandbook2018.pdf?fbclid=IwAR0VRWELP3CbZOilb6P6nWh01Xu3gKKxC7iVGwtaOkrWRRtGfrrIBDJZrHU>
16. Tulane University. "Academic Assessment Cycle - Data Collection". ინტერნეტიდან ამოღების თარიღი 05.07.2023. <https://oir.tulane.edu/assessment/academic-data-collection>
17. Tulane University. "Outcomes Assessment Plans". ინტერნეტიდან ამოღების თარიღი 03.07.2023. <https://tulane.app.box.com/s/a317zjaolmpcd8wtqpmor1m5cqmy2see>
18. University at Buffalo. "Curriculum, Assessment and Teaching Transformation". ინტერნეტიდან ამოღების თარიღი 05.07.2023.
<https://www.buffalo.edu/catt/develop/design/designing-assessments/rubrics.html>
19. Chicago State University. "Writing Rubric (Johnson Community College). Rubric Examples".
<https://www.csu.edu/CTRE/pdf/rubricexamples-all.pdf?fbclid=IwAR26ualZWVcsqOdguSLA8tbt2uJGDvEnlqlCLe0cW9wRF0-RiHbWAZVDKaY>
20. University at Buffalo. "The Rubric Workbook".
<https://www.buffalo.edu/content/dam/www/catt/develop/design/2-1-6-d---rubrics/Rubric%20-%20Workbook.pdf>
21. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. „წესები და ინსტრუქციები“.
<https://iliauni.edu.ge/ge/iliauni/units/qualityassurance/regulations>
22. Tulane University. "Academic Assessment Cycle –Results". ინტერნეტიდან ამოღების თარიღი 06.07.2023. <https://oir.tulane.edu/assessment/academic-results>
23. Tulane University. "Outcomes Assessment Plan". ინტერნეტიდან ამოღების თარიღი 06.07.2023. <https://tulane.app.box.com/s/a317zjaolmpcd8wtqpmor1m5cqmy2see>
24. Tulane University. "Academic Assessment Cycle – Actions". ინტერნეტიდან ამოღების თარიღი 07.07.2023. <https://oir.tulane.edu/assessment/academic-actions>
25. Texas Tech University. "Assessing Student Learning in Degree Programs". ინტერნეტიდან ამოღების თარიღი 03.07.2023.
<https://www.depts.ttu.edu/opa/nuventive/ProgramAssessmentHandbook2018.pdf?fbclid=IwAR0VRWELP3CbZOilb6P6nWh01Xu3gKKxC7iVGwtaOkrWRRtGfrrIBDJZrHU>
26. Texas Tech University. "Assessing Student Learning in Degree Programs". ინტერნეტიდან ამოღების თარიღი 06.07.2023.

<https://www.depts.ttu.edu/opa/nuventive/ProgramAssessmentHandbook2018.pdf?fbclid=IwAR0VRWELP3CbZOilb6P6nWh01Xu3gKKxC7iVGwtaOkrWRRtGfrrIBDJZrHU>

27. Tulane Univesrity. "Academic Assessment Cycle – Impact". ინტერნეტოიდან ამოღების თარიღი 07.07.2023. <https://oair.tulane.edu/assessment/academic-impact>
28. Suskie, Linda. Assessing student learning: A common sense guide. John Wiley & Sons, 2018.
29. Nusche, Deborah. "Assessment of learning outcomes in higher education: A comparative review of selected practices." (2008).
30. Powell, David C., and Michelle Saint-Germain. "Student learning outcome assessment in NASPAA programs: A review of validity and reliability." Journal of public affairs education 22, no. 4 (2016): 507-514.
31. Scott, Rowena. "Benchmarking: A literature review." Academic Excellence Centre for Learning and Development, Edith Cowan University (2011).